უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 22 0001484245

21/11/2022

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (ს/კ: 405155638) 6 წლის ვადით მიენიჭოს ავტორიზაცია და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 5750-ით.
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს განესაზღვრა 1 წლიანი ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რომელიც დაფიქსირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 7 ნოემბერს.
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით №1 გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 21 ნოემბრის №1482247 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით

#	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი[2]	პროგრამის განხორციელების ადგილი	*სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესისა და ტექნოლოგიები ფაკულტეტი										
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (კვალიფიკაციის კოდი: 0203)	240	აკრედიტებული	№03, 05/01/2017	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	70%	64%	79%
2	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში (კვალიფიკაციის კოდი: 0204)	240	აკრედიტებული	№04, 05/01/2017	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	69%	74%	89%
3	საინფორმაციო ტექნოლოგიები	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში (კვალიფიკაციის კოდი: 0401)	240	აკრედიტებული	№06, 05/01/2017	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	78%	88%	93%

[2] იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაცია მინიჭებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა სხვა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ მისი დასახელება

*შენიშვნა: უსდ-ს შეუძლია დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების ნაცვლად წარმოადგინოს მიმართულებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, სქოლიოში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მითითება

**შენიშვნა: მონაცემების ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების ჭრილში წარმოსადგენად საჭიროებისამებრ გააკეთეთ ცხრილების კოპირება

4	ციფრული მარკეტინგი	ქართული	მარკეტინგის ბაკალავრი (კვალიფიკაცი-ის კოდი: 0414)	240	აკრედიტებული	№MES 9 21 0000906385, 22/09/2020	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	-	-	-
5	ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (კვალიფიკაცი-ის კოდი: 0203)	120	აკრედიტებული	№09, 13/09/2021	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	80%	91%	95%
6	ინფორმაციული სისტემების მართვა - DEVOPS	ქართული	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი (კვალიფიკაციის კოდი: 0613)	120	აკრედიტებული	№MES 6 20 0000876116, 22/09/2020	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	97%	-	-
7	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (კვალიფიკაცი-ის კოდი: 02)	სას-წავლო კომპონენტი: 60 ECTS	აკრედიტებული	№05, 05/01/2017	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამ-ზირი 82. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	100%	100%	100%